



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

1 ნოემბერი 2012 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №218**

**გიორგი ხუროშვილთან შრომითი ხელშეკრულების  
გაფორმების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შტატგარეშე მოსამსახურე აყვანილ იქნეს გიორგი ხუროშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში იურისტის თანამდებობაზე.
2. ბრძანებას თან ერთვის გიორგი ხუროშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

# შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

1 ნოემბერი 2012 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია თავმჯდომარის ბატონ ალექო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამქირავებელი“) და მეორეს მხრივ გიორგი ხუროშვილი მცხოვრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღიხაურში (პირადი №33001054782) შემდგომში „დაქირავებული“ ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„დამქირავებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას გიორგი ხუროშვილთან, რათა იგი აყვანილ იქნას შტატგარეშე მოსამსახურედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში იურისტის თანამდებობაზე 2012 წლის 1 ნოემბრიდან.

## მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

2.1. „დამქირავებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დაქირავებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2.2. შეუქმნას „დაქირავებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.

2.3. „დამქირავებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დაქირავებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.

2.4. „დაქირავებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.

2.5. „დაქირავებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.

2.6. „დაქირავებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.

2.7. „დაქირავებულს“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.

2.8. ისარგებლოს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დაქირავებულს“ ყოველთვიურად მიეცემა 420 ლარი ხელფასის სახით.

## მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 ნოემბრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

### მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დაქირავებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

### მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

**„დამქირავებელი“**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო,  
კოსტავას ქუჩა №1,

**„დაქირავებული“**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
სოფ.ლიხაურში მცხ.  
გიორგი ხუროშვილი

### მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

**„დამქირავებელი“**

-----  
(ხელწერა)

ალექო მამეშვილი

**„დაქირავებული“**

-----  
(ხელწერა)

გიორგი ხუროშვილი